Hehlerei

Der Begriff der Hehlerei ist im deutschen und georgischen Recht weitgehend deckungsgleich. Wegen Hehlerei wird nach **deutschem Recht** bestraft, wer eine Sache, die ein anderer gestohlen oder sonst durch eine gegen fremdes Vermögen gerichtete rechtswidrige Tat erlangt hat, ankauft oder sonst sich oder einem Dritten verschafft, sie absetzt oder absetzen hilft, um sich oder einen Dritten zu bereichern (§ 259 dStGB). In Bezug auf die Tathandlung ist ein einvernehmliches Zusammenwirken des Hehlers mit dem Vortäter erforderlich. Im **georgischen Recht** bestraft Art. 186 des gStGB den Gebrauch, Kauf oder Verkauf von Eigentum, das wissentlich durch eine Straftat erlangt worden ist. Tatobjekt kann jeweils nur ein körperlicher Gegenstand sein. Die georgische Vorschrift ist insofern enger, als der Täter sichere Kenntnis der Herkunft des Gegenstandes aus einer Straftat haben muss, wohingegen im deutschen Recht bedingter Vorsatz ausreicht. Jedoch braucht er nach beiden Rechtsordnungen nicht genau zu wissen, durch welche Straftat der Tatgegenstand erlangt worden ist. Die Vortat kann jeweils ein Diebstahl, Raub, Betrug oder eine andere Straftat sein. Der Hehler ist niemals der Täter der vorangegangenen Straftat: im georgischen Recht nicht, da dies gegen den Grundsatz des Verbots der Doppelbestrafung verstoßen würde, im deutschen nicht, weil „ein anderer“ die Sache erlangt haben muss. (Ksc/Tts)

წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება

დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენის ან გასაღების ცნება გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით არის უმეტესწილად ერთნაირი. აღნიშნული შემადგენლობა **გერმანული სამართლის** მიხედვით გულისხმობს სხვის მიერ მოპარული ან სხვაგვარი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მოპოვებული ქონების შეძენას ან გასაღებას ან გასაღებაში დახმარებას პირადი ან სხვისი გამდიდრებისთვის (გსსკ-ის 259-ე პარაგრაფი). ქმედებასთან დაკავშირებით წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ დამნაშავეს ჰქონდეს წინასწარ შეთანხმებული კავშირი წინარე ქმედებასთან. **ქართულ სამართალში** სსსკ-ის 186-ე მუხლით ისჯება წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი ქმედებით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, ყიდვა ან გაყიდვა. ქმედების ობიექტს წარმოადგენს მხოლოდ ნივთობრივად განსხეულებული საგანი. ქართული სამართლის მიხედვით დამნაშავეს უნდა ჰქონდეს უტყუარი ცოდნა დანაშაულის საგნის დანაშაულებრივ წარმომავლობაზე, მაშინ როცა გერმანული სამართლის მიხედვით საკმარისად მიიჩნევა არაპირდაპირი განზრახვაც. თუმცა, ორივე მართლწესრიგის მიხედვით აუცილებელი არ არის დამნაშავემ ზუსტად იცოდეს, დანაშაულის საგანი თუ რომელი დანაშაულებრივი ქმედებითაა მოპოვებული. წინარე დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება იყოს ქურდობა, ყაჩაღობა, თაღლითობა ან სხვა ქმედება. დანაშაულის ამსრულებელი არ შეიძლება იყოს წინარე დანაშაულის ამსრულებელი, ვინაიდან ეს იქნებოდა ორჯერ დასჯის აკრძალვის პრინციპის დარღვევა, ხოლო გერმანული

სამართლის მიხედვით იმიტომაც არ შეიძლება ამსრულებელი წინარე დანაშაულის ამსრულებელი იყოს, რომ დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს სხვის მიერ მოპოვებული. (Ksc/Tts)